ოზურგეთისმუნიციპალიტეტისა(ა)იპ
რაგბის განვითარების კავშირი

მისამართი ქ.ოზურგეთი: კოსტავას ქN1 ელ. ფოსტა rc.arwivebi@gmail.com T+995 551 65 77 71.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
ა(ა)იპ „რაგბის განვითარების კავშირი“-ს
2019 წელს გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

რაგბის განვითარების კავშირის ძირითადმა გუნდმა „არწივები“ 2019-2020 წლის პირველი ლიგის ჩემპიონატის საანგარიშო წელი მეტად მნიშვნელოვანი მოგების სერიებით დაიწყო ორი გასვლითი მატჩი ქ.თბილისის გუნდებთან „დინამო“ და „დევები“. გუნდის მიზანი სეზონის დაწყებიდან იყო ხუთეულში ადგილის დამკვიდრება. გუნდში მოწვეული იქნა ახალი მწვრთნელები და გუნდი შეივსო, როგორც მოწვეული, ასევე ადგილობრივი ახალგაზრდა თაობის მორაგბეებით. წინა წლებთან შედარებით კლუბში მოთამაშე რაგბისტების საშუალო ასაკი შეადგენს 20-22 წელს. სეზონის დაწყებას კლუბი შეხვდა მომზადებული, მთავარ მწვრთნელად დაინიშნა კახაბერ მაჩიტიძე. კლუბმა შეიძინა საკუთარი 35 ადილიანი ავტობუსი, რომელიც გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე 40 000 (ორმოციათასი) ლარად იქნა შეძენილი. ვინაიდან კლუბს არ გააჩნია საკუთარი ბაზა გუნდი კვირაში 3 დღეს ვარჯიშებს ქ.ფოთში ატარებს, სადაც ჩვენი გულშემატკივარი ვერ მოდის თამაშებზე დასასწრებად და საბალეშიკოდ; აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2019 წელს შედგენილი იქნა და გაკეთდა პროექტი ზვანის სტადიონის სარაგბო და მრავალფუნქციურ ბაზად გარდაქმნის. რომელსაც მთლიანად მ.გ.ფ (მუნიციპალური განვითარების ფონდი) დააფინანსებს და პროექტის ღირებულება 3-5 მილიონი დაჯდება. ამ პროექტის შედგენის ღირებულება მთლიანად რაგბის კავშირმა დააფინანსა და საჩუქრად გადმოეცა „არწივები“-ს კლუბს.

მეტად დასანანია ის ფაქტი, რომ გუნდში მომხდარმა განხეთქილებამ კლუბი ძალიან დააზარალა, გუნდი თვითნებურად დატოვა მთავარმა მწვრთნელმა. ასევე რამოდენიმე მოთამაშემ, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა გუნდი განაგრძობს ჩვეულ რეჟიმში ვარჯიშებსა და მზად არის გათამაშების მეორე სეზონში მიიღოს მონაწილეობა.

კლუბს ყავს 2004-2012 წლებში დაბადებული ბავშვთა ასაკობრივი გუნდები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ჩატარებულ ფესტივალებში მონაწილეობენ.

რაგბის განვითარების კავშირში მოქმედებს გოგონათა სექცია საიდანაც უკვე სამი გოგონა მიწვეულების იყვნენ ქვეყნის ნაკრებში სათამაშოდ და მონაწილეობდნენ საერთაშორისო ტურნირებში.

სისტემატიურად ტარდება ვარჯიშები, როგორც ძირითად ასევე ყველა ასაკის ბავშვთა გუნდებთან.

ა(ა)იპ-ში სულ დასაქმებულია 44 თანამშრომელი.

მათ შორის შტატით 11, ქალი 2. მამაკაცი 9.

შტატგარეშე 33. ქალი 3. მამაკაცი 30.

საანგარიშო პერიოდში რაგბის განვითარების კავშირი მოქმედებდა საქართველოს რაგბის კავშირისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მითითების შესაბამისად.

დირექტორი: თ.კალანდაძე